



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

რისკების ანალიზის მეთოდოლოგია

2017 წელი

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის
“მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში” (ENIGMMA) ფარგლებში. პროექტს
ახორციელებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. რისკების ანალიზის განსაზღვრება.....	3
3. რისკების ანალიზის მიზანი.....	4
4. ამოცანების დასმა და პრიორიტეტები.....	6
5. მონაცემთა მოპოვება და დამუშავება რისკების ანალიზისთვის.....	6
5.1 დაგეგმვა და მიმართულებები.....	7
5.2 მონაცემთა შეგროვება.....	8
5.2.1 მონაცემთა შეგროვების გეგმა.....	8
5.2.1.1 ინდიკატური მონაცემები.....	9
5.2.1.2 ინფორმაციის წყაროები.....	9
ა) პირველადი წყაროები.....	10
ბ) მეორადი წყაროები.....	10
5.2.1.3 მონაცემთა შეგროვების პროცედურა.....	10
5.2.1.4 მონაცემთა შერჩევა.....	11
5.2.1.5 მონაცემების შეგროვების გრაფიკი.....	13
5.2.2 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.....	13
5.2.2.1. ინფორმაციის შეფასება.....	14
ა) მონაცემთა “გასუფთავება”.....	14
ბ) ინფორმაციის შეფასება.....	14
მიზნობრიობა.....	14
ავტორი.....	15
ციტირება.....	15
ზედამხედველობა.....	15
შესაბამისობა.....	16
5.2.2.2 ავტორიტეტული მონაცემთა წყაროები.....	16
5.2.2.3 დახარისხება.....	17
ა) კოდირება.....	17
ბ) მონაცემების ანალიზი.....	18
გ) მონაცემების ანალიზის ანგარიში.....	19
6. რისკების ანალიზის მოდელი.....	20
6.1 რისკის იდენტიფიცირება.....	20
6.2 რისკის ანალიზი.....	21
6.3 რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულება.....	22
6.3.1 რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულება.....	22
6.3.2 რისკზე რეაგირება.....	23
6.3.3 რისკის კონტროლი და მონიტორინგი.....	23
7. ადამიანური და ტექნიკური რესურსები.....	23
7.1 სწავლება და განვითარება.....	23
7.2 ტექნიკური მხარდაჭერა.....	24

1. შესავალი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის № 622 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. სტრატეგიის დოკუმენტმა მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვის აუცილებელ კომპონენტად აღიარა რეგულარული რისკების ანალიზის პრაქტიკის დამკვიდრება.

სტრატეგიის დოკუმენტში აღინიშნა, რომ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ დაამტკიცა მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის კონცეფცია. კონცეფცია წარმოადგენს ყველა შესაბამისი უწყებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის ფარგლებშიც უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები და დაინერგოს რისკების ანალიზის უწყებრივი სისტემები.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ დაამტკიცა სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა. გეგმის IX ბლოკის (მიგრაციის მართვის გაუმჯობესება) „გ“ ქვე-ბლოკის (მიგრაციის რისკების ანალიზის და თემატური კვლევების პრაქტიკის დანერგვა და განვითარება) მე-2 ნაწილში ამოცანად განისაზღვრა სახელმწიფო უწყებების მიერ რისკების ანალიზის შიდაუწყებრივი მეთოდოლოგიის შემუშავება. დასახული ამოცანის ფარგლებში დადგინდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვალდებულება 2017 წლის დეკემბრამდე შეიმუშაოს საკუთარ სპეციფიკაზე მორგებული რისკების ანალიზის მეთოდოლოგია. პარტნიორ უწყებად განისაზღვრა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის რისკების ანალიზის სამუშაო ჯგუფი.


სამინისტრომ 2016 წელს მიიღო შიდაუწყებრივი მიგრაციის რისკების ანალიზის მექანიზმის შექმნის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად უნდა შემუშავდეს მიგრაციის რისკების მეთოდოლოგია.

2. რისკების ანალიზის განსაზღვრება

რისკების ანალიზი შესაძლებელია განისაზღვროს როგორც საფრთხის, მოწყვლადობისა და ზეგავლენის სისტემატური შესწავლა.

აღნიშნული განმარტების შესაბამისად, რისკი შეიძლება იქნას განხილული როგორც სამი კომპონენტის მქონე: (1) საფრთხე, რომელიც შეფასდება ტიპისა და ალბათობის მიხედვით; (2) მოწყვლადობა – საფრთხეზე რეაგირების ინსტრუმენტების ეფექტურობა; და (3) ზემოქმედება – საფრთხის პოტენციური შედეგები ინსტიტუციურ განვითარებაზე, ქვეყნის უსაფრთხოებასა და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

რისკების ანალიზის პროცესში, ანალიტიკოსი: ა) აფასებს რისკს; ბ) რამდენიმე საფრთხის არსებობისას იძლევა რეკომენდაციებს მათი პრიორიტეტულობის შესახებ; გ) შეისწავლის რისკების პრევენციის მექანიზმებს; დ) წარუდგენს ინფორმაციას პასუხისმგებელ სტრუქტურებს, რომლებიც მიწოდებული ანალიზის საფუძველზე გაატარებენ სათანადო ზომებს.



3. რისკების ანალიზის მიზანი

მიგრაციის რისკის ანალიზის სისტემა წარმოადგენს რისკის მართვის განუყოფელ ნაწილს და გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრული, ლოგიკური, განგრძობადი და უწყვეტი პროცესების ერთიანობას.

მიგრაციის რისკი ანალიზის მიზანია სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გარე და შიდა მიგრაციის მართვა საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ამავდროულად, მიზნის მისაღწევი გზების, გამოყენებული რესურსებისა და დამდგარი შედეგების თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვა.

რისკის ანალიზის სისტემის არქიტექტურა და შინაარსი შედგება ისეთი კომპონენტების ერთობლიობისგან, როგორიცაა რისკის შეფასება (იდენტიფიცირება, კლასიფიცირება), რისკის მართვა (რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულება, რისკზე რეაგირება, რისკის კონტროლი და მონიტორინგი), რისკის ანალიზის ბენეფიციარები, მონაცემთა ბაზა და მონაცემთა ანალიზის სისტემა.

რისკის ანალიზის ამოცანებია:

- იმ საფრთხეების პრევენცია ან დამდგარ საფრთხეებზე რეაგირება, რომლებიც წარმოადგენენ გადახრას ან გამოწვევის მოსალოდნელი ან დაგეგმილი შედეგებიდან და უარყოფითად მოქმედებენ მიგრაციის მართვის პოლიტიკის მიზნების მიღწევაზე;
- მიგრაციის მართვის პოლიტიკის სრულყოფა და განვითარება;

რისკის ანალიზის პროცესის პრინციპებია:

- აფუძნებს ფასეულობას - რისკის შესამცირებლად დახარჯული რესურსები ნაკლებია, ვიდრე უმოქმედობის შედეგად გამოწვეული ხარჯები (რისკის მართვა და მასზე

დახარჯული რესურსი ერთმანეთის თანაზომიერია; ლეგიტიმური მიზნისდადგომა პროპორციულია გამოყენებული ლეგიტიმური საშუალებებისა; მოქმედებით მიღებული სიკეთე მეტი ღირებულების მატარებელია, ვიდრე უმოქმედობით დამდგარი სიკეთე იქნებოდა).

- ორგანიზაციული პროცესის განუყოფელი ნაწილია (რისკის ანალიზი სამინისტროს სუბიექტების კონკრეტული ფუნქცია და პასუხისმგებლობის სფეროა (კომპეტენციების შესაბამისად), თუმცა ეს არ არის ზოგადი ორგანიზაციული პროცესისგან გამოიწველი და ცალკე მდგომი საქმიანობა. რისკის ანალიზი ჩართულია ორგანიზაციული პროცესების ყველა ეტაპზე, მაგ.: ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, დაგეგმარება და სხვა);
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილია (არასწორი გადაწყვეტილება წარმოშობს ან აძლიერებს რისკს, ამიტომაც გადაწყვეტილების პროცესი მყარად ეყრდნობა რისკის ანალიზს. რისკის მართვა ხორციელდება რისკის დოკუმენტირებული ანალიზის საფუძველზე. რისკის ანალიზი გადაწყვეტილების მიმღებს ეხმარება ერთმანეთს შეადაროს ალტერნატიული ღონისძიებები და საბოლოოდ გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი);
- სისტემური, სტრუქტურული და დროულია (რისკის ანალიზი შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დაშენებული ეტაპებისა და კომპონენტებისგან. ამ ლოგიკურ ჯაჭვში არ ხდება წყვეტა (რისკის შეფასებას წინ უსწრებს რისკის იდენტიფიცირება და ა.შ. თითოეული ეტაპი, თავის მხრივ, შედგება კომპონენტებისგან, რომელთა მიმდინარეობა დაცულია); რისკის ანალიზის სპეციფიკა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ სამინისტროს რომელი სუბიექტი/სტრუქტურა იყენებს მას);
- ეყრდნობა ყველაზე სარწმუნო, ზუსტ და სრულყოფილ ინფორმაციას (რისკის ანალიზის პროცესი დასაწყისშივე საჭიროებს გარკვევას/ინფორმირებას, შეზღუდულია თუ არა გარკვეულ ინფორმაციაზე წვდომა).
- ითვალისწინებს ადამიანურ ფაქტორებს (შიდა თუ გარე პირების (ვინც ჩართულია რისკის ანალიზში) შესაძლებლობები, აღქმები, შეხედულებები, დამოკიდებულებები და განზრახვები შესაძლებელია იყო სამინისტროს მიზნების/ამოცანების ხელშემწყობი ან ხელისშემშლელი ფაქტორი);
- გამჭვირვალე და ინკლუზიურია (უზრუნველყოფს კომუნიკაციას და კონსულტაციას დაინტერესებულ და სათანადო მხარეებთან/პირებთან. დროული ჩართულობა უზრუნველყოფილია, განსაკუთრებით, ყველა ღონის გადაწყვეტილების მიმღები პირები დროულად და სისტემატურად ინფორმირებულია);
- დინამიური, განმეორებითი და ცვლილებებზე რეაგირებადია (რისკის ანალიზი არ არის ერთჯერადი აქტი. ის გამოიყენება პერიოდულად, თუნდაც უკვე შეფასებული რისკის მიმართ; რეაგირებს ნებისმიერ სიახლეზე, გარემოს და კონტექსტის ცვლილებაზე, გარე თუ შიდა ფაქტორებით გამოწვეულ ახალ რისკებსა თუ საფრთხეებზე);
- რისკის ანალიზი პერიოდულად გადაფასებადია, გაუმჯობესებაუნარიანია და ექვემდებარება მონიტორინგს (რისკის ანალიზის ეტაპები, განსაკუთრებით რისკის მართვა ექვემდებარება განვითარებას, გადახედვას, ადაპტირებას);
 - დოკუმენტირებულია (რისკის ანალიზის თითოეული ეტაპი ასახულია დოკუმენტებში - კვლევებში, ანგარიშებში, გადაწყვეტილებებში და სხვა).

4. ამოცანების დასმა და პრიორიტეტები

რისკების ანალიზის ქვედანაყოფების მუშაობა, მთლიანობაში, განისაზღვრება მომდევნო სამი მოთხოვნიდან ერთერთით.

- შიდაუწყებრივი მიმართვები — მოთხოვნები, შემოსული სამინისტროს შიდაუწყებრივი ქვედანაყოფებიდან.
- დამოუკიდებლად შერჩეული თემები - თემები, წარმოშობილი შემოსული მონაცემების ხასიათიდან, რომლებიც მიუთითებენ მათი ანალიზის აუცილებლობაზე.
- მიმდინარე ამოცანები - სამუშაო პროგრამებიდან და სხვა გეგმიური დოკუმენტებიდან გამომდინარე ამოცანები ისეთები როგორიცაა, მაგალითად, პერიოდული (წლიური, თვითწლიური, კვირეული).

რისკების ანალიზის ყველა დავალება ერთნაირად მნიშვნელოვანი და ერთდროულად შესასრულებელი არ არის. არსებული რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით აუცილებელია დავალებების შესრულების პროცესში დაისახოს პრიორიტეტები, განისაზღვროს სტრატეგიული მიზნები, შეფასდეს დავალების უწყების კომპეტენციასთან შესაბამისობა.

პრიორიტეტების დასახვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ფორმალიზებული სისტემა, რომელიც ამოცანებს აჯგუფებს სასწრაფოობის და მნიშვნელობის მიხედვით. ზოგიერთი ამოცანა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ რისკი იყოს სტატისტიკური და შესაძლებელი იყოს მისი შესწავლა დროის ხანგრძლივ მონაკვეთში. სხვა ამოცანა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ მოკლე პერიოდისათვის.

პრიორიტეტების განსაზღვრა შესაძლო მოხდეს დავალებათა მნიშვნელობის ოთხსაფეხურიანი სისტემით:

- *პრიორიტეტი 1:* საჭიროებს გადაუდებელ მოქმედებას, აქვს პირველრიგობის სტატუსი სხვა ყველა დავალებებთან შედარებით
- *პრიორიტეტი 2:* მნიშვნელოვანია და აუცილებელია (მაგრამ არა გადაუდებელი) და შესაბამისად, უნდა განხორციელდეს პირველი შესაძლებლობების გაჩენისთანავე
- *პრიორიტეტი 3:* აუცილებელია და უნდა განისაზღვროს, როგორც სარეზერვო პრიორიტეტი
- *პრიორიტეტი 4:* მიმდინარე ამოცანა, რომელის შესრულება აუცილებელია, მაგრამ შესაძლებელია მისი გადადება დავალებების შესრულების შემდგომი ეტაპისთვის.

5. მონაცემთა მოპოვება და დამუშავება რისკების ანალიზისათვის

ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების გამართული სისტემის არსებობა რისკების ანალიზის უმთავრესი კომპონენტია. მისი საშუალებით ხდება აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება, რომლის საფუძველზეც ხდება რისკების საფრთხის, მოწყვლადობისა ან ზემოქმედების ფორმებისა და მასშტაბების შეფასება.

რისკების ანალიზისთვის მონაცემების შეგროვება და ანალიზი უნდა იყოს ფოკუსირებული კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიაზე (ინდივიდი თუ ჯგუფი). აღნიშნული პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება: 1. დაგეგმვა და მიმართულებების განსაზღვრა; 2. ინფორმაციის შეგროვება; 3. ინფორმაციის დახარისხება; 4. ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია;

აღნიშნული პროცესი ციკლურია, მაგრამ კონკრეტული ამოცანის შესრულების დროს არ არის აუცილებელი ყველა ამ ნაბიჯის თანამიმდევრულად განხორციელება. თუკი მსგავს ან მომიჯნავე საკითხებზე უკვე ჩატარებულია ანალიტიკური საქმიანობა და რელევანტური ინფორმაცია შეკრებილია და დახარისხებულია, შესაძლებელია ინფორმაციის შეგროვებისა და დახარისხების ეტაპების გამოტოვება.

5.1 დაგეგმვა და მიმართულებები:

ეს არის ანალიტიკური პროცესის საწყისი ეტაპი და მოითხოვს მთავარი პრობლემის კორექტულად იდენტიფიკაციასა და მისი ანალიტიკურის საქმიანობის საჭიროებად ფორმულირებას.

კონკრეტული პრობლემის ან მოვლენის იდენტიფიცირება სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი. მათგან ყველაზე მარტივი სტრუქტურირებული მიდგომა 5 კითხვის დასმის ტექნიკა გახლავთ.

5 კითხვის ტექნიკა – ინგლისურად მას 5W ეწოდება (ინგლისური სიტყვების What-რა, Who-ვინ, Where-სად, When-როდის, Why-რატომ) და გამოიყენება კონკრეტული პრობლემის ან მოვლენის შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად. ამ ტექნიკით განხორციელებული საქმიანობა შესაძლებელია ჩაითვალოს შესრულებულად მხოლოდ მაშინ, თუკი იგი პასუხს გასცემს ყველა შემდეგ კითხვას:

1. **ვინ?** ვინ არის მოვლენის მონაწილე?
2. **რა?** რა მოხდა (რა არის მოვლენა)?
3. **სად?** სად მოხდა?
4. **როდის?** როდის მოხდა?
5. **რატომ?** რატომ მოხდა?

ზოგიერთი სპეციალისტი ამ ჩამონათვალს მეექვსე კითხვას, როგორ (How)? ამატებს:

6. **როგორ** მოხდა?

თითოეულ კითხვას უნდა გაეცეს ფაქტებით გამყარებული პასუხი. პასუხი არ შეიძლება იყოს მხოლოდ “კი” ან “არა”.

პრობლემის იდენტიფიცირება

ვინ	რა	როდის	სად	რატომ	როგორ
ლტოლვილის სტატუსის მქონე არასრულწლოვა ნი სკოლის მოსწავლეები	ვერ ფლობენ ელემენტარული განათლების დონეს. ტესტირებამ გამოავლინა საბაზისო ქართული ენის უცოდინრობა. მოსწრება სხვა საგნებში უკიდურესად დაბალია	მიმდინარე; ადგილი აქვს ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო დაწესებულების პროგრამაში ჩართვის დღიდან	სასწავლო დაწესებულება #...	შესასწავლია; სავარაუდოდ სასწავლო პროცესი არ ითვალისწინებს ინტეგრაციის საჭიროებებს არ ყავთ მომზადებული პერსონალი, ზედამხედველობა და მენეჯმენტი ნაკლოვანია	შესასწავლია; სავარაუდოდ სასწავლო დაწესებულების შერჩევის დროს ხარვეზით მოხდა მისი სერტიფიცირება და არ განხორციელებუ ლა სწავლების ხარისხის მონიტორინგი

ანალიტიკური საქმიანობის საჭიროება

ვინ	რა	როდის	სად	რატომ	როგორ
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საჭიროებს დეტალურ ინფორმაციას ლტოლვილის სტატუსის მქონე არასრულწლო ვანი სკოლის მოსწავლეების განათლების პროგრამების ხარისხის შესახებ	მომდევნო ორი თვის განმავლობაში	განათლების ხარისხის მონიტორინგის ცენტრი; ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი	ლტოლვილის სტატუსის მქონე არასრულწლო ვანი სკოლის მოსწავლეებს მიეცეთ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობ ა	დასადგენია; სასწავლო დაწესებულება ში ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა ან გადაყვანა სხვა საგანმანათლე ბლო დაწესებულება ში.

საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პრობლემის ანალიზის უფრო კომპლექსური მეთოდით, მათ შორის პრობლემების ტაქსონომიის გამოყენება.

5.2 მონაცემთა შეგროვება

ანალიტიკური მონაცემებისა და რისკების ანალიზის პროცესის განხორციელებისას სრული ეფექტის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ ანალიტიკოსმა დაიცვას ანალიტიკური მონაცემების შეგროვების მთავარი „წესი“.

მონაცემთა შეგროვება უნდა იყოს დაგეგმილი მოქმედება, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ანალიტიკოსების მიერ რისკებსა და ანალიტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების განსაზღვრას.

მონაცემთა, მათ შორის პირველადი, შეუფასებელი ინფორმაციის შეგროვება უნდა

მოხდეს ნებისმიერი და ყველა წყაროდან, რომელსაც სათანადო პოზიცია უჭირავს კონკრეტული რისკის ანალიზის ამოცანისთვის შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად.

5.2.1 მონაცემთა შეგროვების გეგმა

კონკრეტული მონაცემების შეგროვების მიზნით. თითოეული აქტივობისათვის უნდა შემუშავდეს მონაცემთა შეგროვების ინდივიდუალური გეგმა, რომელიც პასუხს გასცემს შემდეგ ძირითად კითხვებს:

1. რა მონაცემები უნდა შეგროვდეს იმისათვის, რომ მოხდეს ანალიტიკური საქმიანობის ამოცანების შესრულება?
2. რომელი წყაროებიდან უნდა შეგროვდეს ინფორმაცია?
3. მონაცემთა შეგროვების რომელი პროცედურა შეესაბამება ყველაზე უკეთ ამოცანას?
4. რა მოცულობის მონაცემი იქნება საკმარისი?
5. როდის უნდა შეგროვდეს ინფორმაცია (გამოყოფილი დრო და ვადები)?

5.2.1.1 ინდიკატორი მონაცემები

მონაცემთა შეგროვების ეტაპზე უნდა მოხდეს იმ კითხვების ფორმულირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს რისკების ანალიზის ამოცანის შესაბამისად განვსაზღვროთ ის მონაცემები, რომელთა შეკრება იქნება საჭირო.

კითხვა	ინდიკატორი ინფორმაცია	ინფორმაციის წყაროები
როგორია ლტოლვილის სტატუსის მქონე არასრულწლოვანი სკოლის მოსწავლეების მოსწრების დონე კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში?	გამოცდებზე ჩაჭრილი მოსწავლეთა წილი ლტოლვილის სტატუსის მქონე მოსწავლეების საერთო რაოდენობიდან.	<u>არსებული ინფორმაცია:</u> საგამოცდო ფურცლები <u>არსებული ინფორმაცია:</u> მოსწავლეთა მოსწრების ჟურნალი.
ხომ არ უშლით ხელს მოსწავლეებს სწავლაში დაბალი თვითშეფასება ან სხვა სახის ფსიქო-სოციალური და კულტურული პრობლემები?	იმ მოსწავლეთა პროცენტულობა, რომლებიც აცხადებენ რომ დაბალი თვითშეფასება ან სხვა სახის ფსიქო-სოციალური და კულტურული პრობლემები ხელს უშლიან წარმატებით სწავლაში.	<u>შესაგროვებელი ინფორმაცია:</u> მოსწავლეთა გამოკითხვა. <u>მოსამიგებელი ინფორმაცია:</u> მშობლების გამოკითხვა
იციან მოსწავლეთა მშობლებმა ქვეყანაში სწავლების ძირითადი მოთხოვნილებები?	მოსწავლეთა იმ მშობლების პროცენტულობა, რომელთაც არ გააჩნიათ ინფორმაცია კვალიფიკაციის ძირითად მოთხოვნილებებზე.	<u>არსებული ინფორმაცია:</u> დასწრების ჟურნალი <u>მოსამიგებელი ინფორმაცია:</u> მშობლების გამოკითხვა;
ხომ არ უშლით ხელს ლტოლვილის სტატუსის მქონე არასრულწლოვანი სკოლის მოსწავლეებს აცხადებენ რომ მათი შვილების განმრთელობის ან სოციალური პრობლემები?	მოსწავლეთა იმ მშობლების პროცენტულობა, რომლებიც აცხადებენ რომ მათი შვილების განმრთელობის ან სოციალური პრობლემები და ოჯახის გაჭირვება უშლით ხელს.	შინამეურნეობების გამოკითხვა. <u>არსებული ინფორმაცია:</u> სასწავლო გეგმები, ლიტერატურა, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, ანგარიშები.
არის სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში?	მასწავლებლების რაოდენობა, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა.	<u>მოსამიგებელი ინფორმაცია:</u> მასწავლებლებისა და მაკონტროლებლების გამოკითხვა.

5.2.1.2 ინფორმაციის წყაროები

მონაცემთა მიღება შესაძლებელია სხვადასხვა წყაროებიდან, ვინაიდან თითოეული შემთხვევა უნიკალურია და მონაცემების შეგროვება კონკრეტულად ამ მიზნისთვის მოხდა.

როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს, მონაცემთა შეგროვება დამოკიდებულია ინფორმაციის წყაროების არსებობაზე. ეს წყაროები შეიძლება უკვე არსებობდეს დოკუმენტებში ან სხვადასხვა კვლევებსა და პუბლიკაციებში, ან საჭირო იყოს სავსე სამუშაოების ჩატარება მათ მოსაგროვებლად. წყაროები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, თუმცა, შესაძლებელია მათი ორ დიდ ჯგუფად დაყოფა - პირველადი წყარო და მეორადი წყარო.

ა) პირველადი წყაროები

პირველად წყაროები ანალიტიკოსს აწვდიან ინფორმაციას “პირველი ხელიდან” გარკვეული მოვლენის, ინდივიდის, ჯგუფისა თუ ობიექტის შესახებ. წყაროთა ეს ტიპი მოიცავს სამართლებრივ დოკუმენტებს, ისტორიულ არქივებს, სავსე ანგარიშებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ინტერვიუებს, მოსახლეობის გამოკითხვებს, წერილებს, ელფოსტის გზავნილებს და ა.შ. ასევე, პირველწყაროდ ჩაითვლება ის პუბლიკაციებიც, სადაც მკვლევრის მიერ გამოყენებული მონაცემები გამოქვეყნდა პირველად.

პირველადი წყაროების უპირატესობები და ნაკლები:

უპირატესობები	ნაკლები
მონაცემთა ინტერპრეტაცია ადვილია	გამოკითხვები ძვირი ჯდება
უპასუხებს კონკრეტული კვლევის კითხვებს	ბევრი დრო მიაქვს
მონაცემთა ხარისხის მართვა უკეთ არის შესაძლებელი	მონაცემები შესაძლოა სუბიექტური იყოს და საჭიროებს კრიტიკულ ანალიზს

ბ) მეორადი წყაროები:

მეორად წყაროებს განეკუთვნება ნაშრომები, რომლებშიც განხილული და შესწავლილია პირველადი წყაროები. ასეთს წარმოადგენს წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციები. მეორადი წყაროების გამოყენება შემდეგ მიზნებს ემსახურება: თანამედროვე კვლევების შედეგებისა და მასალის კვლევაში არსებული სიახლეების გაცნობა; საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების დასაბუთება სხვა მკვლევართა მოსაზრებების გათვალისწინებით; საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებების გაცნობა; ასევე, მსგავსი საკითხების კვლევისა და ანალიზისთვის მიღებული ფორმებისა და სტილის გააზრება.

მეორადი წყაროების უპირატესობები და ნაკლები:

უპირატესობები	ნაკლები
მონაცემთა შეგროვება იაფია	მეორადი წყარო ნაკლებად არის მორგებული კონკრეტულ ამოცანას
ადვილად ხელმისაწვდომია	ხშირად მიუწვდომელია ინფორმაცია პირველადი წყაროს შერჩევისა და დამუშავების მეთოდოლოგიაზე
საშუალებას იძლევა მოკლე ვადაში მოხდეს ანალიტიკური პრობლემის იდენტიფიცირება	ინფორმაცია შესაძლოა არასრული და, შესაბამისად, ნაკლებ სანდო იყოს

5.2.1.3 მონაცემთა შეგროვების პროცედურა

მონაცემთა შეგროვების საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იძლევა შერჩეული პროცედურა საშუალებას გაეცეს კონკრეტული და ამომწურავი პასუხი რისკის იდენტიფიცირებულ პრობლემას. ეს პროცედურა უნდა იყოს ეფექტური, მარტივად განსახორციელებელი და შესრულებადი ანალიზისთვის გამოყოფილი დროის მონაკვეთში.

მეთოდის შერჩევის დროს პასუხი უნდა გაეცეს პროცედურებთან დაკავშირებულ შემდეგ შეკითხვებს:

1. ვინ არიან ის რესპონდენტები, რომლებიდანაც უნდა მივიღოთ ინფორმაცია?
2. როგორია ინფორმაციის შეგროვების პრაქტიკული და ეფექტური გზა ისე, რომ გარანტირებული იყოს შეგროვებული ინფორმაციის აკურატულობა
3. რა მეთოდი უნდა ავირჩიოთ იმისთვის, რომ შევაგროვოთ საჭირო ინფორმაცია
4. რამდენად აკურატული იქნება ინფორმაცია, რომელიც შეგროვდება შერჩეული მეთოდით?
5. რომელი მეთოდით შეგროვებული ინფორმაცია გასცემს ყველაზე უკეთ პასუხს დასმულ კითხვებს?
6. ჩათვლის თუ არა მიზნობრივი აუდიტორია შერჩეული მეთოდით მიღებულ ინფორმაციას როგორც სანდოსა და გამოსადეგს?
7. ვინ უნდა შეაგროვოს მონაცემი ამ მეთოდის გამოყენებით?
8. რა ტიპის ტრენინგი არის საჭირო მათთვის, ვინც ინფორმაციას აგროვებს?
9. არის თუ არა საკმარისი დრო შერჩეული მეთოდით ინფორმაციის შესაკრებად?

ზემოთ განხილული ანალიტიკური ამოცანის შესაბამისად, შესაძლებელია შეფასდეს მონაცემთა შეგროვების პროცედურები შემდეგნაირად:

პროცედურა	მიზანი	უპირატესობა	ნაკლი
ლტოლვილის სტატუსის მქონე არასრულწლოვანი სკოლის მოსწავლეების გამოკითხვა	შეგროვდება მნიშვნელოვანი მონაცემები მოსწავლეთა თვითშეფასებისა და სხვა სახის ფსიქო-სოციალური და კულტურული პრობლემები	კვლევის წარმოება შედარებით იაფი იქნება. არსებობს ბევრი მსგავსი კვლევების კითხვარების ნიმუშები. ადვილი იქნება მონაცემების ანალიზი და შედარება.	მოითხოვს შერჩევის მკაცრი მეთოდის გამოყენებას იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს განზოგადება. უამრავი ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია ვერ მოიცავდეს ყველა დეტალს.
სასწავლო გეგმები, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა ანგარიშები.	სასწავლო დაწესებულების საქმიანობის ეფექტურობის შეფასება	ინფორმაცია უკვე არსებობს. მეთოდი სწრაფი და იაფია.	ინფორმაცია შესაძლებელია იყოს არასრული, არასანდო და ნაკლებად ასახავდეს რეალურ სასწავლო პროცესს.

5.2.1.4 მონაცემთა შერჩევა

ინფორმაციის წყაროები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მონაცემთა შეკრება წარმოადგენს ელემენტებს რომელთა შეკრება ინდივიდუალურად ხდება, ხოლო შეფასება კი

ერთობლივად. ამ ელემენტების ერთობლიობას “პოპულაცია” ეწოდება.

არ არის საჭირო მონაცემთა შეკრება ყველა შესაძლო რესპონდენტისა და მეორადი საინფორმაციო წყაროდან - საკმარისია მისი მხოლოდ ნაწილიდან შეკრება, ოღონდ მთავარია შერჩევა მოხდეს შესასწავლი პოპულაციიდან სხვადასხვა ერთეულის (ვთქვათ, ადამიანები, ორგანიზაციები და ა.შ.) შერჩევის ისეთი გზით, რომ შესაძლებელი იყოს მიღებული შედეგების განზოგადება მთლიან პოპულაციაზე.

გადაწყვეტილება იმის თაობაზე, მოხდეს თუ არა მთლიანი პოპულაციის თუ მხოლოდ მისი ნაწილის შეფასება მიიღება შემდეგ მოსაზრებებზე დაყრდნობით:

- *პოპულაციის სიდიდე:* თუკი შესასწავლი პოპულაცია მრავალრიცხოვანია, პრაქტიკულად შეუძლებელია და არც არის საჭირო მთლიანი პოპულაციის მონაცემის შეგროვება.
- *უსარგებლო მონაცემები:* პოპულაცია შესაძლებელია იმდენად მცირე იყოს, რომ არ იძლეოდეს შეკრებილი მონაცემის განზოგადების საშუალებას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია არც იყოს საჭირო მონაცემების შეკრება.
- *არსებული რესურსები:* შეზღუდული ფინანსური, ადამიანური და დროის რესურსები და, ასევე, მოკრძალებული ტექნიკური ბაზა შესაძლებელია მხოლოდ პოპულაციის მცირე ნაწილის შეფასების საშუალებას იძლეოდეს.

შერჩევის ამა თუ იმ ტიპის გამოყენება ანალიზის მიზნებზეა დამოკიდებული. როგორც წესი, რაოდენობრივი კვლევებისას, როცა მკვლევარს სურს აკურატულად აღწეროს პოპულაციის მახასიათებლები, ის ალბათურ შერჩევას იყენებს. თვისებრივი კვლევებისას კი, როცა მკვლევარი ორიენტირებულია გარკვეული სოციალური პროცესების სიღრმისეულ ანალიზზე, მიზანდასახულად ხდება კვლევისთვის ამა თუ იმ შემთხვევების შერჩევა და მკვლევარი ცდილობს არა რაც შეიძლება მეტი შემთხვევა მოიცვას, არამედ რაც შეიძლება ფუნდამენტურად იკვლიოს მისთვის საინტერესო შემთხვევები.

ალბათური შერჩევის ტიპებია:

- *მარტივი შემთხვევითი შერჩევა* ალბათური შერჩევის ყველაზე მარტივი და საკმაოდ გავრცელებული ფორმაა და ხორციელდება შემთხვევითი ტიპის მათემატიკური პროცედურის საფუძველზე. მოიცავს რამდენიმე მეთოდს, მათ შორის, ლატარიის, შემთხვევითი რიცხვების, სისტემური შერჩევის მეთოდებს.
- *სტრატეგიზირებული შერჩევისას* შესასწავლ ჯგუფს ჯერ ქვეჯგუფებად ანუ სტრატებად ვყოფთ, შემდეგ კი თითოეული სტრატებიდან შემთხვევითი წესით (ვთქვათ, სისტემური შერჩევის გზით) ვირჩევთ შერჩევით ერთობლიობას.
- *კლასტერული შერჩევის* მიზანია ორი პრობლემის გადაჭრა: გამოასწოროს შერჩევის ჩარჩოს ახარვეზები და შეამციროს გამოკვლევის ჩატარების დრო და ხარჯები. ამისთვის ხორციელდება შერჩევის რამდენიმე საფეხური: ჯერ შემთხვევითი წესით ანალიტიკოსი ირჩევს კლასტერებს (ეს შეიძლება იყოს გეოგრაფიული არეალები, ორგანიზაციები თუ ინსტიტუტები და ა.შ.), შემდეგ კი ისევ შემთხვევითი წესით ირჩევს ელემენტებს შერჩეული კლასტერების შიგნით.

არაალბათური შერჩევის ტიპებია:

- *მიზნობრივ ანუ შეფასებით შერჩევას* ანალიტიკოსი იყენებს პილოტური კვლევებისას. მისი გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია, როცა გამოსაკითხი ერთობლიობის

წევრები ადამიანთა სპეციალურ და რთულად ხელმისაწვდომ კატეგორიას მიეკუთვნებიან. მიზნობრივი შერჩევა გამოიყენება მაშინაც, როცა უნიკალურ შემთხვევებთან გვაქვს საქმე. ამ და ქვემოთ მოყვანილი სხვა მეთოდების გამოყენებისას მკვლევარი ვერასოდეს იქნება დარწმუნებული, რომ შერჩეული შემთხვევები რეპრეზენტატიულია, მაგრამ ეს არც არის მისი მიზანი - ამ შემთხვევაში ის სოციალური მოვლენების ახსნასა და სიღრმისეულ ანალიზზეა ორიენტირებული.

- *თოვლის გუნდა* რიცხობრივად მცირე ჯგუფებიდან შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრის მეთოდია. მისი გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა არ არსებობს საკვლევი ობიექტების ადეკვატური სია. შერჩევის ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება ადამიანებს შორის ურთიერთობათა ქსელის საკვლევადაც, ანუ ის სოციომეტრული კვლევის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს.
- *სტიქიური შერჩევა* გამოიყენება ქუჩაში ადამიანების გამოკითხვისას. ის შერჩევის სხვა მეთოდებთან შედარებით უფრო მარტივი, იაფი და ნაკლებრეპრეზენტატიულია.
- *კვოტური შერჩევისას* ანალიტიკოსი იღებს გადაწყვეტილებას, მოსახლეობის რომელი ჯგუფები უნდა იკვლიოს და რა პროპორციით უნდა მოხდნენ ისინი შერჩევით ერთობლიობაში. კვოტური შერჩევა იწყება მატრიცით, რომელშიც წარმოდგენილია მათი მახასიათებლები, რომელთა დადგენა შესაძლებელია მოსახლეობის აღწერის ან შინამეურნეოების გამოკვლევების მასალებიდან.

5.2.1.5 მონაცემების შეგროვების გრაფიკი

მონაცემთა შეგროვების გრაფიკი დამოკიდებულია არსებულ დროსა და რესურსებზე.

მონაცემთა შეგროვების საქმიანობა	როდის უნდა მოხდეს მონაცემთა შეგროვება	რა დრო გვაქვს დამაზუსტებელი მონაცემების შესაგროვებლად	როდის უნდა დასრულდეს მონაცემთა შეგროვება

ზემოთ აღწერილი მაგალითის მიხედვით მონაცემთა შეგროვებისას უნდა გადაწყვიტოთ, თუ:

- როდის მოხდება მასწავლებელთა და სასწავლო დაწესებულების სხვა წარმომადგენელთა ინტერვიუება – სემესტრის დასასრულს, თუ მისი მიმდინარეობის დროს.
- როდესაც ვვრებით სკოლის ადმინისტრაციულ მონაცემებს (დასწრების, შეფასების ფურცლებს, მასწავლებელთა ანგარიშებს და სხვ.), უნდა გადავწყვიტოთ, რა პერიოდულობით მოხდება ამ ინფორმაციის შეკრება

მონაცემთა გროვების ამოცანის შესასრულებლად მნიშვნელოვანი დრო უნდა გამოიყოს, რადგან:

- შესაძლებელია დაუგეგმავ პრობლემებს შევეჩახოთ
- ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისა და ანგარიშვალდებულებების შესრულების გეგმები უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ დაიკარგოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- უნდა გამოიყოს საკმარისი დრო დამატებითი, დამაზუსტებელი ინფორმაციის მოსაძიებლად.

5.2.2 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

ინფორმაციის დამუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

5.2.2.1. ინფორმაციის შეფასება

შეფასება არის დახარისხება არის მცდარი და არარელევანტური მონაცემების გამორიცხვა და ინფორმაციის წყაროს სიმართლის და სანდოობის შეფასება. ანალიტიკოსებმა უნდა დაადგინონ, თუ რამდენად შეუძლიათ მათ ინფორმაციის კონკრეტული ნაწილების ნდობა მონაცემთა ანალიზირების და ინტერპრეტირების დროს.

ა) მონაცემთა “გასუფთავება”:

სანამ პირველადი წყაროების ანალიზს დაიწყებენ, ანალიტიკოსებმა უნდა შეამოწმონ ხომ არ შეიცავს მონაცემები შეცდომებს. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად უნდა მოხდეს შევსებული კითხვარების, ინტერვიუების ჩანაწერებისა და დოკუმენტების ინსპექტირება.

მონაცემთა “გასუფთავებისას” ანალიტიკოსები უპასუხებენ შემდეგ კითხვებს:

- არის გამოკითხვის ანკეტები კორექტულად შევსებული? პასუხი აქვს გაცემული ყველა კითხვას?
- შესაძლებელია ანკეტების, ინტერვიუებისა და სხვა დოკუმენტების იდენტიფიცირება შეგროვების კონკრეტული ადგილის მიხედვით?
- არის ინტერვიუს კითხვარი სრულად შევსებული? თუკი ჩანაწერები ხელით არის შესრულებული, შესაძლებელია მათი გარჩევა?
- არის თუ არა შეგროვებული დოკუმენტების სია და აღწერა სრულყოფილი და აკურატული?

ბ) ინფორმაციის შეფასება:

ინფორმაციის შეფასების დროს ანალიტიკოსებმა შეიძლება გამოიყენონ ACCORD მეთოდი (ინგლისური აბრევიატურა Agenda - მიზნობრიობა, Credentials - ავტორი, Citations – წყაროთა ციტირება, Oversight - ზედამხედველობა, Relevance - შესაბამისობა, Date - თარიღი) იმისთვის, რომ განსაზღვრობ, თუ რამდენად შეესაბამება შეგროვებული ინფორმაცია ანალიტიკურ ამოცანს.

მიზნობრიობა

ინფორმაცია იქმნება სხვადასხვა მიზნისათვის – რეკლამირება, გართობა, საჯარო სერვისი, მოსაზრებათა გაზიარება და ასევე, მეცნიერული შეხედულებებისა და კვლევების გაცვლისათვის. მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, თუ რა მიზნით და ვისთვის შეიქმნა კონკრეტული ინფორმაცია.

ფაქტორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული საინფორმაციო რესურსის ამოცანის განსაზღვრისათვის:

- ვისთვის შეიქმნა ინფორმაცია და რატომ? რა არის მისი მიზანი – ინფორმირება, რეკლამირება, გართობა, თუ გარკვეული მოსაზრებების გავრცელების ხელშეწყობა?
- შესაძლებელია თუ არა ნათლად დადგინდეს ინფორმაციის დანიშნულება?

- ხომ არ ავლენს ინფორმაცია ტენდენციურობას გარკვეულ პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურული ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ?

ავტორი

ინფორმაციის სანდოობის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია მოხდეს მისი ავტორის იდენტიფიცირება.

ფაქტორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული საინფორმაციო რესურსის საავტორო კუთვნილების განსაზღვრისათვის.

- ვინ არის ინფორმაციის ავტორი?
- ინფორმაციის წყაროში მითითებულია თუ არა ავტორის სახელი და ინსტიტუციური კუთვნილება?
- ინფორმაციის წყაროში მითითებულია თუ არა ავტორის ან ორგანიზაციის საკონტაქტო მონაცემები?
- როგორია იმ ავტორისა თუ ორგანიზაციის კვალიფიკაცია, რომელსაც ეკუთვნის ეს ინფორმაცია?
- ხომ არ არის კონკრეტული ორგანიზაცია და ჯგუფი ამ ინფორმაციის სპონსორი?

ციტირება

წყაროთა ციტირება მონაცემის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

ფაქტორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული საინფორმაციო რესურსებში წყაროთა ციტირების განსაზღვრისათვის.

- ახდენს თუ არა ინფორმაციის ავტორი სხვა ავტორების ციტირებას?
- მითითებულია თუ არა ინფორმაციაში გამოყენებული ლიტერატურის სია ან ბმულები ინტერნეტ რესურსებთან?
- რა ტიპის ინფორმაცია არის ციტირებული/მოხმობილი ბმულების სახით?
- მოხმობილი ინტერნეტ ბმულები აქტიურია თუ გადავყავართ არარსებულ/წაშლილ რესურსებზე?

ზედამხედველობა

პუბლიკაციების ზედამხედველობა გულისხმობს იმას, რომ მათ გამოქვეყნებამდე ხელნაწერები ან სტატიები გადაეცემათ რედაქტორებს, რომლებიც განიხილავენ მათ შინაარსს და შემდეგ უზავნიან შესაბამისი სფეროს ექსპერტებს რეცენზირებისთვის. რედაქტორები და რეცენზენტები აფასებენ პუბლიკაციის ხარისხს, ამოწმებენ მოყვანილი მონაცემების სისწორესა და უტყუარობას და გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობას. საჭიროების შემთხვევაში, ავტორს მიმართავენ ცალკეული ნაწილების დაზუსტების ან შეცვლის მოთხოვნით. თუკი პუბლიკაცია აერთიანებს რამდენიმე ავტორის ნაშრომს, მას თან შეიძლება ერთვოდეს რედაქტორთა და რეცენზენტთა სია, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ინდივიდუალური ნაშრომების ხარისხის შეფასებაზე.

ფაქტორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული საინფორმაციო რესურსების ზედამხედველობის განსაზღვრისათვის.

1. იყო თუ არა პუბლიკაცია რედაქტირებული და რეცენზირებული?
2. არის ჟურნალი, რომელშიც მოყვანილია ანალიზისთვის საინტერესო სტატია ან წიგნი, დაბეჭდილი მეცნიერული გაერთიანების, პროფესიული ასოციაციის, ავტორიტეტული საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციის, თუ უნივერსიტეტისა და კვლევითი დაწესებულების მიერ?

შესაბამისობა

პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად შეესაბამება მონაცემი ანალიტიკურ ამოცანას? გულისხმობს მოპოვებული ინფორმაციის ანალიტიკური პროდუქტის აუდიტორიასა კონკრეტულ ანალიტიკურ თემასთან შესაბამისობის განსაზღვრას.

ფაქტორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული საინფორმაციო რესურსების შესაბამისობის განსაზღვრისათვის.

- იძლევა თუ არა შეგროვებული ინფორმაცია საშუალებას პასუხი გაეცეს ანალიტიკური ამოცანის გარშემო დასმულ კითხვებს?
- არის თუ არა საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ მონაცემთა შეგროვების ამოცანა შესრულებულად ჩაითვალოს? არის ის პირველადი თუ მეორადი წყარო? არის ის პუბლიკაცია სამეცნიერო, პროფესიულ, თუ პოპულარულ გამოცემაში?
- ხომ არ არის ინფორმაცია ან ძალზე ტექნიკური ან ძალზე მარტივი ანალიტიკური ამოცანისათვის? ვინ არის მისი აუდიტორია – ექსპერტები თუ უბრალო მოქალაქეები?
- არის ინფორმაცია საკმარისი მოცულობის და იძლევა შესაბამის დეტალებს?

თარიღი

ინფორმაციის სიახლე გარკვეული ტიპის ამოცანებისათვის გადამწყვეტია, სხვათათვის ნაკლებ მნიშვნელოვანი. მაგალითად, შესაძლებელია ცალკეული ამოცანისათვის საჭირო იყოს ისტორიული ინფორმაცია, რომელიც ანალიტიკოსს მისცემს საშუალებას გაეცნოს წარსულში მომხდარ მოვლენასა და მის მონაწილე მხარეებს. სხვა სფეროებში, რომლებიც მაგალითისთვის სამართალთან, სოციალურ დაცვასთან, ეკონომიკური დახმარების პროგრამებსა და, ზოგადად, ინტეგრაციულ პროცესებთან არიან დაკავშირებულნი, ინფორმაცია უნდა იყოს უახლესი.

ფაქტორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული საინფორმაციო რესურსების სიახლის განსაზღვრისათვის.

- როდის გამოქვეყნდა ინფორმაცია? როდის მოხდა მისი ბოლო განახლება?
- ხელმისაწვდომია თუ არა უფრო ახალი მონაცემები იგივე თემაზე?
- არის ინფორმაციაში ციტირებული რესურსები ახალი? არის ინტერნეტ ბმულები აქტიური?
- შეეხება ანალიტიკური ამოცანა იმ სფეროს, სადაც მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, თუ შესაძლებელია უფლო ძველი წყაროების გამოყენებაც?

5.2.2.2 ავტორიტეტული მონაცემთა წყაროები

ანალიტიკური მონაცემების დამუშავების ავტორიტეტული წყაროები აერთიანებს სამინისტროს ხელთ არსებულ მონაცემთა ინფორმაციას, მონაცემებს სხვა საჯარო უწყებებიდან რომელიც შეიძლება გამოთხოვილი იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონის პრინციპების შესაბამისად, ინფორმაცია სპეციალიზებული საერთაშორისო მონაცემთა ბაზებიდან, მონაცემები

სპეციალიზებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მათ შორის:

ა. სამინისტროს მონაცემთა ბაზები, მათ შორის:

- [თავშესაფარი] თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირების მონაცემთა ბაზები, წარმოშობის ქვეყნების მონაცემთა ბაზა (CoI)
- [დევნილები] დევნილთა მონაცემთა ბაზა
- [დევნილები] სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ბაზა
- [ეკომიგრანტები] ეკომიგრანტთა მონაცემთა ბაზა
- [რეპატრიანტები] რეპატრიანტების მონაცემთა ბაზა
- [რეინტეგრაცია] მობილურობის ცენტრის მონაცემთა ბაზა

ბ. სხვა საჯარო უწყებების საინფორმაციო ბაზები, რომელთაგანაც დაშვება შესაძლებელია შესაბამისი კანონით ან ნორმატიული აქტით. მათ შორის:

- [თავშესაფარი] საზღვრის კვეთა, პენიტენციური დაწესებულება, გაძევება, ბინადრობის უფლება, მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფარგლებში
- [ეკომიგრანტები] თვითმმართველობათა მონაცემთა ბაზები
- [ადამიანის უფლებები] სახალხო დამცველის საპარლამენტო, სპეციალური და პრევენციის ეროვნული მექანიზმების ანგარიშები.

გ. საერთაშორისო მონაცემთა ბაზები, მათ შორის:

- [თავშესაფარი] refworld.net, ecoi.net, data.un.org, reliefweb.net
- [თავშესაფარი, წარმოშობის ქვეყნები] – აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ქვეყნების ინფორმაცია
- [ზოგადი, უფლებები, სახელმწიფო სისტემები] – საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, როგორც არის Human Rights Watch, Freedom House, და სხვ.
- [გარე მიგრაცია] UN Population Database

დ. სტატისტიკა

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიმდინარე, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემები და სტატისტიკური, შინამეურნეობების გამოკითხვები.

5.2.2.3 დახარისხება

ა) კოდირება _____

მონაცემთა კომპიუტერული ანალიზი მოითხოვს, რომ შეკითხვებზე პასუხები დაყვანილ იქნეს რიცხობრივ მაჩვენებლებში. ეს პროცესი კოდირების სახელითაა ცნობილი.

რა მიზანს ისახავს კოდირება? - კითხვარის მიზანია საკვლევი პრობლემის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მთელი რიგი შემთხვევების შეგროვების საფუძველზე. თითოეული შემთხვევის შესახებ მოპოვებული ინფორმაციას, იქნება ეს ინდივიდის სქესი თუ ასაკი, მოვლენის მოხდენის დრო და მასში მონაწილე ადამიანების რაოდენობა თუ სხვ., ცვლადი ეწოდება.

კოდირების მიზანი სწორედ თითოეული ცვლადისათვის მნიშვნელობის მინიჭებაა. კითხვარის კოდირების შედეგად ვიღებთ მონაცემების მატრიცას, სადაც თითოეული რიგი

შეესაბამება ცალკეულ შემთხვევას, თითოეული სვეტი კი - ცალკეულ ცვლადს. მონაცემების მატრიცა ჩვეულებრივ არ აღემატება 80 სვეტს, რათა სრულად გამოჩნდეს კომპიუტერის მონიტორზე. მაშინაც კი, როცა რესპონდენტმა არ უპასუხა ამა თუ იმ შეკითხვას, ან გარკვეული შეკითხვა მას არ ეხებოდა, მოცემული შემთხვევის ცვლადს მაინც მიეწერება მნიშვნელობა.

კოდირება დახურული შეკითხვებისთვის კითხვარის შედგენისას ხდება და მოსალოდნელი შეკითხვები და მათი კოდები კითხვარში იბეჭდება. თითოეულ კითხვარს საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერიც (ID) უნდა ჰქონდეს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს გარკვეული კითხვარის მოძებნა და მონაცემების შემოწმება.

ცვლადის ტიპი:	ID	1	2	3
		სქესი	ასაკი	ოჯახ. მდგომ.
სვეტი:	123	4	5	6
შემთხვევა:	001	1	2	1
	002	1	4	2
	003	2	3	2

ამგვარი მონაცემების საფუძველზე იქმნება კოდების წიგნი, რომელშიც მითითებულია შემდეგი ინფორმაცია თითოეული ცვლადის შესახებ:

- შეკითხვის ნომერი და შინაარსი
- ცვლადის სახელი კომპიუტერული პროგრამისთვის (რომელიც ხშირად რვა ნიშანს არ აღემატება)
- ცვლადის მდებარეობა სვეტის მიხედვით
- ცვლადის მნიშვნელობები
- ნაკლები მნიშვნელობები
- ვალიდურ მნიშვნელობათა რაოდენობა

ბ) მონაცემების ანალიზი

ცვლადების რაოდენობის შესაბამისად, სამი სახის ანალიზი არსებობს: უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული. უნივარიაციული ანალიზი აღწერითი სახისაა, რადგან იზოლირებულად წარმოადგენს ცალკეულ ცვლადს. მარტივი ჰიპოთეზა ორი ცვლადის არსებობას მაინც გულისხმობს. ამდენად, მხოლოდ ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზი შეიძლება იყოს ანალიტიკური ხასიათის.

- უნივარიაციული ანალიზი გულისხმობს მხოლოდ ერთი ცვლადის შემთხვევათა განაწილების შესწავლას. უნივარიაციული მონაცემების პრეზენტაციის ყველაზე გავრცელებული ფორმატია სიხშირეთა განაწილება. უნივარიაციული ანალიზისას შეგვიძლია ჩვენი მონაცემები ცენტრალური ტენდენციის აღმწერი საზომების საფუძველზე - ეს *მოდა*, *მედიანა* თუ *საშუალო* - წარმოვადგინოთ.
- ბივარიაციული ანალიზი ორი ცვლადის არსებობას გულისხმობს, რომელთაგან ერთი დამოუკიდებელია, მეორე კი - მასზე დამოკიდებული. ჩვენ ვხსნიით დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობას დამოუკიდებელი ცვლადის

მნიშვნელობის საფუძველზე. ვთქვათ, გვინტერესებს სქესის გავლენა შრომით სტატუსზე; სქესი დამოუკიდებელი ცვლადია, შრომითი სტატუსი კი - დამოკიდებული ცვლადი.

- *მულტივარიაციული ანალიზი* სამი და მეტი ცვლადის არსებობას გულისხმობს. აქ იგივე საფეხურებია გასავლელი, რაც ბივარიაციული ანალიზისას, თუმცა ცვლადების რაოდენობის ზრდა ანალიზის გართულებასაც იწვევს. მულტივარიაციულ ცხრილში, ერთი დამოუკიდებელი და ერთი დამოკიდებული ცვლადის ნაცვლად, რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადი შემოდის.

გ) მონაცემების ანალიზის ანგარიში

საბოლოო საფეხური, რაც მონაცემების დამუშავებას მოსდევს, მისი ანგარიშის მომზადებაა. ინფორმაციის შეგროვების ტიპიდან გამომდინარე, ანგარიში ორი სახის შეიძლება იყოს - რაოდენობრივი და თვისებრივი. ისინი სტრუქტურულად მსგავსია.

ანგარიშის სტრუქტურა

ნებისმიერი ანგარიში შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან შედგება:

- სათაური - ანალიტიკური პროდუქტის ადეკვატური აღწერა რაც შეიძლება ნაკლები სიტყვით. ანგარიშის სათაური შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: მან უნდა ასახოს ანალიტიკური საქმიანობის საგანი, ზუსტად უნდა გადმოსცეს პროდუქტის ფოკუსი და გასაგები უნდა იყოს მოცემული სფეროს სპეციალისტებისათვის.
- სარჩევი - ანგარიშის ძირითადი სექციები, თანმიმდევრობით მითითებული.
- ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ტექსტშია მოცემული.
- ანოტაცია - მთელი ნაშრომის ერთ პარაგრაფში მიმოხილვა. არსებობს ორი სახის ანოტაცია: პირველი კონცენტრირებას ახდენს მიღებულ შედეგებსა და მათგან გამომდინარე დასკვნებზე; მეორე კი ნაშრომის 4 ძირითადი ნაწილის (შესავალი, მეთოდები, შედეგები, დისკუსია) თითო-თითო წინადადებით შეჯამებას ახდენს.
- პრობლემის დასმა-გამოკვლევის ხასიათისა და მისი განხორციელების გზების მოკლე მიმოხილვა, აგრეთვე ანალიტიკური საქმიანობის მიზნების ნათლად ფორმულირება.
- ლიტერატურის მიმოხილვა - შერჩეული პირველადი და მეორადი წყაროების მიმოხილვა და მათი ორიგინალური და კრიტიკული ანალიზი.
- კვლევის დიზაინი - თეორიული სტრუქტურისა და მეთოდების მითითება.
- გამოყენებული მეთოდოლოგია - მონაცემების სანდოობისა და ვალიდურობის ჩვენება.
- შედეგები - ინფორმაციისა და მონაცემების პრეზენტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ანალიტიკური ამოცანის კითხვებზე პასუხის გაცემა.
- დისკუსია - მიღებული შედეგებით ნაკარნახევი პრინციპების, კავშირების, კორელაციებისა და განზოგადებების პრეზენტაცია; შედეგების ინტერპრეტაცია. დედუქციურ-ინდუქციური დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.
- დასკვნა - მიღებული შედეგებისა და მათგან გამომდინარე დასკვნების მოკლედ შეჯამება.
- ბიბლიოგრაფია - ყველა გამოყენებული წყაროს მითითება ანბანური თანმიმდევრობით, ერთი არჩეული ფორმატის ფარგლებში.
- დანართი - მნიშვნელოვანი მონაცემები და საილუსტრაციო მასალა.

6. რისკების ანალიზის მოდელი

რისკის შეფასება წარმოადგენს რისკის იდენტიფიცირების და რისკის ანალიზის სისტემურ პროცესს.

6.1 რისკის იდენტიფიცირება

რისკის იდენტიფიცირება წარმოადგენს ანალიტიკურ, ამავედროულად, კრეატიულ პროცესს, რომლის დროს გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:

- *სიმულაციაზე დაფუძნებული რისკების იდენტიფიცირება.* ამ დროს პროფესიონალთა გუნდი განიხილავს რამდენიმე სცენარს და აანალიზებს სცენარის სხვადასხვა განვითარებით დამდგარ ალტერნატიულ შედეგებს, განსაკუთრებით მოწმდება და ვლინდება სამინისტროს მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელისშემშლელი საფრთხეები. გამოვლენილი ნებისმიერი უარყოფითი ალტერნატივა განისაზღვრება, როგორც რისკი.
- *საერთო რისკების შემოწმება.* სამინისტრო აყალიბებს მიგრაციის სფეროში არსებული ყველა პოტენციური და დასაშვები რისკის სიას. თითოეული რისკი მოწმდება კონკრეტული სიტუაციისთვის.
- *ბრეინსტორმინგი.* მიგრაციის რისკის ანალიზზე პასუხისმგებელი პირი იყენებს სტრუქტურირებულ ან არასტრუქტურირებულ მიდგომებს ჯგუფის წევრების მიმართ, რომლებიც წარმოდგენილ/გაზიარებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსჯელობისას ზეპირსიტყვიერად ახდენენ რისკის იდენტიფიცირებას. (სტრუქტურირებულია მიდგომა, როცა მენეჯერი ჯგუფის წევრებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად წინასწარ აძლევს კონკრეტულ დავალებებს და ბრეინსტორმინგის პროცესს ხვდებიან მზა პრეზენტაციებით).
- *კვლევები.* კვლევა რისკის იდენტიფიცირების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის ფარგლებში კონკრეტულ კითხვებზე გაიცემა პასუხი რომელიმე ერთ განსაზღვრულ სფეროსთან მიმართებით წინასწარ შერჩეული მეთოდ(ებ)ის გამოყენებით (მაგ.: აღწერილობითი, შედარებითი, ანალიტიკური ან/და სხვა);
- *ინტერვიუ.* ინტერვიუ რისკის იდენტიფიცირების მიზნით ვერბალური ინფორმაციის მოპოვების დამოუკიდებელი მეთოდია. ამავედროულად ის შეიძლება იყოს სხვა მეთოდის დამატებითი ან შემადგენელი ნაწილი (მაგ.: ანკეტირების/კითხვარის). ინტერვიუს მეთოდის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კითხვარის შინაარსი და ფორმა. ის შეიძლება ჩატარდეს ერთ პირთან ან ჯგუფურად; განსხვავებულია კომუნიკაციის ფორმებიც - პირისპირ ან სატელეფონო; ჩატარების ფორმა არის სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული; ინტერვიუს საშუალებით მიღებული მონაცემები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი.
- *გამოცდილებითი ცოდნა.* ამ დროს ხდება ისეთი ინფორმაციის შეგროვება, რაც პირების გამოცდილებიდან გამომდინარეობს. თუმცა ეს მეთოდი სიტუაციის რელევანტური უნდა იყოს.

- *ისტორიული და დოკუმენტური ცოდნა*. აქ იგულისხმება დოკუმენტურად ასახული ფაქტების, ინფორმაციის, მონაცემების შეგროვება და შედარება.
- *ინციდენტის ანალიზი*. უკვე დამდგარი ინციდენტ(ებ)ის ანალიზი (ინციდენტის ბუნების, წარმოშობის მიზეზების, მსგავსი ინციდენტების რაოდენობის და სხვა ასპექტების ანალიზი) წარმოადგენს რისკის იდენტიფიცირების მეთოდს.
- - *SWOT ანალიზი*. ამ მეთოდის ფარგლებში ხდება შესაძლებლობებისა და საკმისი გარემოს შესწავლა, კერძოდ, - სამინისტროს ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, სამინისტროს შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საფრთხეების განსაზღვრა.
- - *PESTLE ანალიზი (გარე ანალიზი)*. ამ დროს ხდება ზოგადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან ტექნოლოგიური გარე ფაქტორების შესწავლა. ამ შემთხვევაში, გარე ფაქტორების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოძიება, განსაზღვრავს რისკების იდენტიფიცირების პროცესის სრულყოფას.
- - და სხვა

რისკის იდენტიფიცირების პროცესში შესაძლებელია ალტერნატიული მეთოდის დამოუკიდებლად ან სხვა მეთოდ(ებ)თან ერთად კუმულაციური გამოყენება.

რისკის იდენტიფიცირება არის პროცესი, რომლის დროს საფრთხეების შესაძლებლობა დაშვებულია და მათი ზემოქმედება განსაზღვრულია.

რისკის იდენტიფიცირების კომპონენტებია:

- საფრთხეების დადგენა (რა არის საფრთხე?)
- კონტექსტის/გარემოს აღწერა (საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი - რა უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში).
- საფრთხეების მიზეზების დადგენა (გარე, შიდა; პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვა.);
- საფრთხის მოქმედების აღწერა (რა შეიძლება მოხდეს, როგორ და როდის?)
- საფრთხის ქვეშ მყოფი ელემენტების გამოვლენა (ვისზე/რაზე იმოქმედებს საფრთხე?)
- საფრთხის შესაძლო ეფექტების განსაზღვრა

6.2 რისკის ანალიზი

რისკის ანალიზი წარმოადგენს რისკის იდენტიფიცირების შედეგების გამოყენების, საფრთხეების ბუნების გააზრებისა და რისკის დონის განსაზღვრის პროცესს.

იდენტიფიცირებული რისკების ანალიზის ორი მეთოდი არსებობს: რაოდენობრივი და თვისობრივი.

რისკის ანალიზის კომპონენტებია: განსაზღვროს რისკის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები.

- რისკის აღწერა, კვლევა (რაოდენობრივი, თვისობრივი);
- რისკის ზემოქმედების პოტენციური უარყოფითი შედეგების ანალიზი(რაოდენობრივი, თვისობრივი);

- იმ მიზეზებისა და ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ რისკის რეალიზაციაზე;
- რისკის მართვის/რისკზე რეაგირების კომპონენტების განსაზღვრა (რა დრო დასჭირდება, რა რესურსი დასჭირდება და ა.შ.);
- რისკთან მიმართებით შიდა და გარე/საერთაშორისო ფაქტორების გავლენის შესწავლა;
- რისკის სიხშირის განსაზღვრა, რისკის გაზომვა და გამოთვლა (რისკის ზემოქმედების შეფასება (მაღალი, საშუალო, დაბალი)), რისკის დონეების განსაზღვრა.
- რისკის კლასიფიცირება:
 - სტრატეგიული რისკები (სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, კრიმინოგენური, გარემოსდაცვითი და სხვა)
 - ოპერაციული რისკები (საინფორმაციო, ინფრასტრუქტურული, პროცედურული, საკადრო, ტექნოლოგიური, ხარისხობრივი)
 - ფინანსური რისკები
 - საკანონმდებლო რისკები
 - ადამიანური რისკები (ჯანმრთელობა, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა...)
- რისკის პრიორიტეტიზება.

6.3 რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულება

რისკის მართვა ფართო გაგებით არის სამინისტროს ზოგადი მართვის ერთ-ერთი კომპონენტი და გულისხმობს მიგრაციის რისკის ანალიზის სისტემის ჩამოყალიბებას, ამ სისტემის ეფექტურ და გამართულ მუშაობას, სისტემის კომპონენტებისა და მის შიგნით მიმდინარე პროცესების მენეჯმენტს.

რისკის მართვა ვიწრო გაგებით წარმოადგენს რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულების შერჩევას, რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულების სამოქმედო გეგმას (საჭიროებისას), რისკზე რეაგირებას, რისკის კონტროლსა და მონიტორინგს.

6.3.1 რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულება

რისკის მართვის სტრატეგია ნიშნავს, რისკის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, პოტენციურ რისკებზე ან რისკის შედეგებზე რეაგირების მეთოდის განსაზღვრა. რისკის მართვა ძირითადად მოიცავს 4 სტრატეგიას და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ერთობლიობას - რისკის აცილება, რისკის შემცირება, რისკის გაზიარება და რისკის შეკავება.

რისკის აცილება წარმოადგენს რისკის მართვის ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც გულისხმობს რისკის დადგომის პრევენციას, იმ საქმიანობის არ შესრულებას, რაც რისკის მატარებელი, რისკის აღმოფხვრის ღონისძიებების გატარებას ან რისკის ზემოქმედების სხვაგვარ შეწყვეტას.

რისკის შემცირება წარმოადგენს რისკის მართვის მეთოდს, რომელიც ხორციელდება მაშინ, როცა რისკის აცილება შეუძლებელია და გულისხმობს რისკის სიმძაფრის, სიხშირის, ზარალის სიდიდის შემცირებას, შერბილებას და ოპტიმიზაციას.

რისკის გაზიარება წარმოადგენს რისკის მართვის მეთოდს, რომელიც ხორციელდება მაშინ, როცა რისკის აცილება და შემცირება შეუძლებელია და გულისხმობს პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების განაწილებას/გადაცემას სხვა სუბიექტებზე ან ერთობლივ ქმედებას მესამე მხარესთან ერთად. იგულისხმება როგორც ქვეყნის შიგნით სხვა სახელმწიფო უწყებები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა სახელმწიფოს შესაბამისი ოფიციალური სამსახურები.

რისკის შეკავება წარმოადგენს რისკის მართვის მეთოდს, როცა სუბიექტი (საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში ან სამინისტრო შიდა ურთიერთობებში) საკუთარ თავზე იღებს და იტოვებს რისკის პოტენციურ შედეგებს და ზარალს.

რისკის მართვა არ გამოირიცხავს რამდენიმე სტრატეგიული მიმართულების კომბინირებულად გამოყენებას. თუმცა რისკის მართვის უმნიშვნელოვანესი პრინციპია სტრატეგიული მიმართულებების შერჩევის რიგითობის დაცვა ზემოთ მოცემული მიმდინარეობის მიხედვით (აცილება, შემცირება, გაზიარება, შეკავება).

6.3.2 რისკზე რეაგირება

რისკზე რეაგირება წარმოადგენს რისკის მართვის კონკრეტული სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში შეთანხმებული/დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელებას.

საჭიროების შემთხვევაში მუშავდება რისკის მართვის სტრატეგიული მიმართულების სამოქმედო გეგმა.

6.3.3 რისკის კონტროლი და მონიტორინგი

რისკის კონტროლი და მონიტორინგი წარმოადგენს რისკის მართვის ბოლო საფეხურს.

რისკის კონტროლისა და მონიტორინგის მიზანია შესწავლილ იქნეს, განისაზღვროს და შეფასდეს:

- რისკზე რეაგირების ეფექტურობა
- რისკის რეაგირება მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის თანახმად/ფარგლებში.
- რისკზე რეაგირების პროცესში გეგმიდან გადახვევა.
- რისკზე რეაგირების შედეგების დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობა და თანაფარდობა
- რისკის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში რისკის პროგრესირების ან/და რეგრესირების ასპექტები
- რისკის გარემოს შეცვლის ასპექტები
- რისკზე ახალი რეაგირების საჭიროება
- და ა.შ.

7 ადამიანური და ტექნიკური რესურსები

7.1 სწავლება და განვითარება

რისკების ანალიზზე პასუხისმგებელი უწყებრივი ქვედანაყოფის ეფექტური მუშაობა მოითხოვს კადრებთან სწორი მუშაობის ორგანიზაციას, სპეციალისტების კარიერული ზრდის სტრატეგიის გამომუშავებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- პერსონალის პროფესიული განვითარების აუცილებლობის შესწავლა;
- პერსონალის, მათ შორის მმართველობის აპარატის, სხვადასხვა დონეების მომზადებისათვის სპეციალიზირებული კურსების პროგრამების დამუშავება
- სწავლების მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- ახალი კადრების აყვანის შემთხვევაში შესაბამისი პოტენციალის მქონე მაღალკვალიფიცირებული კადრების შერჩევის ეფექტური პროცესის უზრუნველყოფა;
- სპეციალისტების პროფესიონალური ზრდის პროგრამების დამუშავება, რომელიც მიმართულია სპეციალისტების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომ კადრების შენარჩუნებაზე, ასევე სპეციალური პირობები, რომლების მიხედვითაც თანამშრომელი დარჩება უწყებრივ ქვედანაყოფში და არ იქნება სადმე გაგზავნილი.

7.2 ტექნიკური მხარდაჭერა

აღნიშნული თავი მოიცავს რისკების ანალიზის ორგანიზებისათვის პრაქტიკულ მითითებებს. გამოთვლითი ტექნიკის მოწყობილობების, ინფორმაციული ტექნოლოგიების სტანდარტებისა და ზოგადი სამუშაო პირობების ჩათვლით.

რისკების ანალიზის მუშაობა ეყრდნობა შემდეგ სამ მნიშვნელოვან წინაპირობას:

- *მონაცემები* - გარე წყაროები, ან უკვე არსებული შიდა რესურსები, ხელმისაწვდომია რისკების ანალიზისათვის.
- *ტექნიკური უნარები* - ანალიტიკოსები ფლობენ შესაბამის ტექნოლოგიებს, რომლებიც მას საშუალებას აძლევენ შეაგროვოს და ერთმანეთს დაუკავშიროს მონაცემები შესაბამისი წყაროებიდან, მოახდინოს მათი ანალიზი, გამოამუშავოს კავშირები და შეადაროს მონაცემთა ნაკრები, განსაზღვროს ტენდენციები და დალაგებული სქემები, შეაჯამოს და განახორციელოს პროგნოზი.
- *პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერული მოწყობილობები* - შეესაბამებიან რისკების ანალიზის და მონაცემების შეკრების ამოცანებს.

მოთხოვნები პროგრამული უზრუნველყოფისადმი

ყოველდღიური ანალიტიკური მუშაობა მოითხოვს შეკრებილი მონაცემების ორგანიზების, მანიპულირების და ანალიზის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. მონაცემების ანალიზის დროს შეიძლება გამოყენებული იყოს ანალიტიკოსის პირადი უნარები, სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას არა მარტო დაჩქარდეს ეს პროცესი, არამედ გაზარდოს მისი სიზუსტე.

ანალიზის სიჩქარის და სიზუსტის გაზრდა არის საკმარისი დასაბუთება კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვისათვის, რომელიც იდეალურ შემთხვევაში შეადგენს შემდეგ ოპტიმალურ ნაკრებს.

- საოფისე პაკეტი: პროგრამული უზრუნველყოფა, რომელის მოიცავს ტექსტურ რედაქტორს, ცხრილებს, ვიზუალური პრეზენტაციის შესაძლებლობებს.
- მონაცემთა ბაზა: პროგრამული უზრუნველყოფა, ფართოდ დანერგილი ორგანიზაციის შიგნით, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული რისკების ანალიტიკოსის მიერ სპეციალური მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებისას
- სპეციალიზირებული სერვერი: უზრუნველყოფს მონაცემების დაცულ შენახვას და მათთან მიღწევას.
- საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამინისტროს შიგნით და პარტნიორ სააგენტოებს შორის ინფორმაციის გაცვლას.
- გრაფიკული პროგრამული უზრუნველყოფა: გამოიყენება ანალიტიკოსის მიერ ინფორმაციის დიაგრამების სახით წარდგენისა და ბრიფინგებისა და წერილობითი ანგარიშების ტენდენციების ვიზუალიზაციისათვის
- მონაცემთა ვიზუალიზაციის პროგრამა მიეკუთვნება იმ პროგრამების კატეგორიას, რომელიც აძლევს მომხმარებელს შესაძლებლობას შეკრიბოს, გააერთიანოს მონაცემები და შემდეგ მისცეს პროგრამას დავალება აჩვენოს სხვადასხვა ტიპის ტენდენციები. რა თქმა უნდა ამ ყველაფრის გაკეთება ანალიტიკოსსაც შეუძლია, მაგრამ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება მნიშვნელოვნად აჩქარებს პროცესს, რაც მონაცემების მოცულობის და სირთულეების ზრდასთან დაკავშირებით ამ უპირატესობას უფრო მნიშვნელოვანს ხდის.
- პროგრამული უზრუნველყოფის ზემოთ აღნიშნულ საბაზო ელემენტებთან ერთად არ იქნებოდა ცუდი შემდეგი დანართების გამოყენებაც: გრაფიკების აგების ინტერაქტიული პროგრამები, სპეციალიზირებული ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფა, მედია-მონიტორინგის პროგრამები.